

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის
საჯარო სკოლის

პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების

კატალოგი

2019

საკონტაქტო ინფორმაცია

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა,

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა,
დაბა აგარა, აღმაშენებლის 8

ელ.ფოსტა: agarissajaroskola@gmail.com

ტელ:

მობილური: 577 318 314

ვებგვერდი: agara.edu.ge

ელექტროობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

მიზანი: პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტროობაში.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია

- გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება;
- გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
- დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
- მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
- გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
- წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
- შექმნას და წარადგინოს პროექტი.

კურსდამთავრებულთა კარიერული და დასაქმების შესაძლებლობები

- ელექტრობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელ-ელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; და მზის ენერჯის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა

- ✓ ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა - 52 კრედიტი
- ✓ ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის ხანგრძლივობაა - 1 წელი.
- ✓ არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა - 67 კრედიტი
- ✓ არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის ხანგრძლივობაა - 1,3 წელი.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

საერთო პროფესიული მოდულები-საბაზო	
დასახელება	კრედიტი
გაცნობითი პრაქტიკა ელექტროობაში	2
საინჟინრო ხაზვა	4
ელექტრული და ელექტრონული პრინციპები	4
კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში	4
ჯამი	14

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის ზოგადი მოდულები

დასახელება	კრედიტი
უცხოური ენა(ინგლისური)	4
მეწარმეობა 1	2
ინფორმაციული წიგნიერება 1	3
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1
სულ:	10

<p>პროფესიული მოდულები -საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია-ელექტრობაში</p>	
დასახელება	კრედიტი
ჯანმრთელობა და უსაფრთოება ელექტრობაში	4
ელექტრული ტექნოლოგია	4
ელექტრული მანქანების თვისებების და გამოყენება	4
ელექტრული მონტაჟი	4
მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	4
საინჟინრო პროექტი	8
ჯამი	28
სულ ჯამი	52
არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	
	კრედიტი
ქართული ენაA2	15
სულ ჯამი	67

სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში / Basic Vocational Qualification in Plumbing

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში - საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული და დასაქმების შესაძლებლობები:

- **სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში** საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში (სამშენებლო-სარემონტო კომპანიები, სამრეწველო ობიექტები, ინდივიდუალური მშენებლობებისა და მუნიციპალური სისტემების მომსახურება. შესაძლებელია თვითდასაქმება), რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია შენობა-ნაგებობების შიგაწყალსადენისა და წყალარინების სისტემების მშენებლობასთან სანტექნიკოსის პოზიციაზე.
- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 37.0; 37.00; 37.00.0 კანალიზაცია - ქვეკლასი შეიცავს:
 - კოლექტორების ან კანალიზაციის დასამუშავებელი მოწყობილობების ექსპლუატაციას
 - ჩამდინარე წყლების (საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარე წყლების, საცურაო აუზების წყლის და მისთ. ჩათვლით) გასუფთავებას ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესებით, როგორებიცაა: გაზავება, გაფილტვრა, სედიმენტაცია და მისთ.
 - საკანალიზაციო და სადრენაჟო არხების ტექნიკურ მომსახურებას და გასუფთავებას, საკანალიზაციო მილების მოქნილი ღეროებით

- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7126

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კვალიფიციური კადრის მომზადებას. კურსდამთავრებულს შეუძლია წყლის მილსადენების შენება, კომპონენტების მონტაჟი და საკანალიზაციო ქსელზე საექსკავაციო, შეკეთებითი და სამუშაოების ჩატარება. სამუშაო სრულდება უსაფრთხოების წესების დაცვითა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებით.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის მიმართულებით კურსდამთავრებულს შეუძლია

1. წაიკითხოს სამშენებლო ნახაზები
2. შეადგინოს სამშენებლო-სანტექნიკური სქემები
3. მოაწყოს დასახლებული ადგილებისა და შენობების გარე წყალმომარაგების ქსელები
4. მოაწყოს წყალარინების გარექსელებისა და სანიაღვრე სისტემა
5. განახორციელოს შიდა წყალსადენი სისტემების მონტაჟი
6. განახორციელოს შიდა წყალარინება
7. განახორციელოს თბომომარაგება
8. განახორციელოს ჰელიოსისტემის მოწყობა.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა

- ✓ ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა - 79 კრედიტი
- ✓ ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის ხანგრძლივობაა - 1,5 წელი.

- ✓ არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა - 94 კრედიტი
- ✓ არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის ხანგრძლივობაა - 1,8 წელი.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

ზოგადი მოდულები	
დასახელება	კრედიტი
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
რაოდენობრივი წიგნიერება	2
ინფორმაციული წიგნიერება	3
მეწარმეობა 1	2
უცხოური ენა(ინგლისური)	4
სამოქალაქო განათლება	2
ჯამი	16

პროფესიული მოდულები- სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში

დასახელება	კრედიტი
გაცნობითი პრაქტიკა სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	2
საწარმოო პრაქტიკა-სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	6
პრაქტიკული პროექტი-სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	5
სამშენებლო ნახაზების კითხვა და სამშენებლო-სანტექნიკური სქემების შედგენა	4
შრომის უსაფრთხოება და საწარმოო სანიტარია საზეინკლო საქმეში	3
საზეინკლო სამუშაოები სანტექნიკოსის საქმიანობაში	4
შიდაწყალარინება	5
გარეწყალარინება	6
წყალმომარაგების ელემენტები	5
გარეწყალმომარაგების ქსელების მოწყობა	5
შიდაწყალმომარაგების ქსელების მოწყობა	5
ჰელიოსისტემა	4
თბომომარაგება	3
ჯამი:	57

საერთო პროფესიული- მოდულები	
დასახელება	კრედიტი
გაცნობითი პრაქტიკა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებში	2
კომპანიის მოთხოვნები და საინფორმაციო ბაზები	4
ჯამი:	6
სულ ჯამი:	79
არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	
დასახელება	კრედიტი
ქართული ენა A2	15
სულ ჯამი:	94

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.